



ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება №4

2016 წლის 4 იანვარი

ქალაქი გორი

„ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვისათვის საწვავის ლიმიტის დაწესების შესახებ“ ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 26 აგვისტოს № 20 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურს მისი უფლება-მოვალეობების განსახორციელებლად და სამსახურის ეფექტური მუშაობის უზრუნველსაყოფად, იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული სამსახურის თანამშრომლებს გაზრდილი სიხშირით უწევთ ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამოყენება, ესაჭიროება საწვავის ლიმიტის გაზრდა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო მიზანშეწონილად მიიჩნევს მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის სარგებლობაში მყოფი ავტომობილისთვის (VAZ-21214(NIVA); ნომერი VOV-125) განკუთვნილი ყოველთვიური საწვავის ლიმიტი გაიზარდოს 100 ლიტრით.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. „ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვისათვის საწვავის ლიმიტის დაწესების შესახებ“ ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 26 აგვისტოს № 20 განკარგულების 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დაწესდეს ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე ყოველთვიურად ლიმიტი შემდეგი ოდენობით:

N	ავტომანქანის მარკა	ნომერი	ლიმიტი (ლიტრი)
1	LEXUS RX 350	EFE-797	400
2	TOYOTA camri	YSY-945	400
3	VOLKSWAGEN PASSAT	WKW-227	200
4	MERSEDES ML.	FIF-090	400
5	MERSEDES 200 E კლასის.	EFE-225	100
6	VAZ-2107	GQG-603	250
7	VAZ-21214(NIVA)	AYA-479	300
8	VAZ -21214(NIVA)	VOV-125	300
9	„TOYOTA COROLA“	(GOG-589)	400
10	VAZ-2107	GQG-606	250

2. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში, სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი; სერგო ჯორბენაძის ქ.№30)

საკრებულოს თავმჯდომარე



პაპუნა კობერიძე